ოქმი:ო63. 63223352
თარიღი:01/12/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 50

ქ. სამტრედია. 11 ნოემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 11 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, კანდიდატურის დასახელების შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს შეახსენა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის, მოხსენებითი ბარათი N63-63223054 (01/11-2022წ.), რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრების, მერაბ უღრელიძის და პაატა კოხრეიძის განცხადებებს, რომლებმაც 2022 წლის 24 ოქტომბერს დატოვეს პარტია ,,ქართული ოცნება-- დემოკრატიული საქართველო“ და ფრაქცია ,,ქართულ ოცნება“ და შეუერთდნენ მოძრაობა ,,ხალხის ძალა“_ს.

საკრებულოს მიერ განხორციელდა საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, 37-ე მუხლის, პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუდეთსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას.

ბიუროს წევრებმა, (ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი) ერთხმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, კანდიდატად დაასახელეს მერაბ უღრელიძის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, არჩევის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 15 ნოემბერს, 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი